# ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
31 მაისი 2018

## 2018 წლის განახლებული საპროგნოზო ბალანსი

**ევა ბოჭორიშვილი**
კვლევების დეპარტამენტის უფროსი
evabochorishvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.8036

**მარიამ ჩახვაშვილი**
ანალიტიკოსი
mchakhvashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.7897

2018 წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაამტკიცა 2017 წლის დეკემბერში. დოკუმენტი მოიცავს თითოეული ბაზრის მონაწილის გენერაციისა და მოხმარების წლიურ გეგმას. ამასთან, ეს დოკუმენტი განახლდა 2018 წლის 16 მაისს.

განახლებულ საპროგნოზო ბალანსში ცვლილებები ძირითადად შეეხო იმპორტისა და ექსპორტის მოცულობებს, ჰესების გენერაციას და 2018 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებს (საპროგნოზო ჩანაცვლდა ფაქტიური რიცხვებით). განახლებული საპროგნოზო ბალანსის თანახმად, 2018 წელს:

- ელექტროენერგიის მოხმარება 12.7 ტვტ.სთ-ს მიაღწევს, რაც წლიური 6.9%-იანი ზრდაა (თავდაპირველ ვარიანტში ზრდა 7.1% იყო).
- იმპორტის დაგეგმილი მოცულობა 1.3 ტვტ.სთ-ს შეადგენს, რაც წლიურად 12.4%-იანი კლებაა (თავდაპირველ ვარიანტში 30.8%-იანი ზრდა იყო გათვალისწინებული).
- ექსპორტის დაგეგმილი მოცულობა 0.5ტვტ.სთ-ია. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა საჯარო აუქციონის გზით განსაზღვრავს ექსპორტიორ კომპანიებსა და ექსპორტის მიმართულებებს. ამ ეტაპზე, ექსპორტიორ კომპანიებს ყველაზე მაღალი მოთხოვნა თურქეთის ბაზარზე აქვთ, ხოლო მეორე ადგილზეა სომხეთი.

## ელექტროენერგიის მოხმარება და მიწოდება, 2018 წლის 4 თვე

2018 წლის პირველ ოთხ თვეში **ელექტროენერგიის მოხმარება** წლიურად 6.7%-ით გაიზარდა და 4.3 ტვტ.სთ შეადგინა. ეს ზრდა ძირითადად უკავშირდება სადისტრიბუციო კომპანიების მოხმარების წლიურ 8.4%-იან ზრდას (ენერგო-პრო ჯორჯიას მოხმარება 9.7%-ით, ხოლო თელასის 6.1%-ით გაიზარდა). ამასთან, პირდაპირი მომხმარებლების და აფხაზეთის რეგიონის ჯამური მოხმარება, წლიურად 8.5% და 5.0%-ით შემცირდა.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და მიწოდება, 4თ18, გვტ.სთ




*წყარო: სემეკი*

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის იმპორტი, 4თ18, გვტ.სთ




*წყარო: სემეკი*

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

პირველ ოთხ თვეში **ადგილობრივი წარმოება** წლიურად გაზრდილია 20.6%-ით, ძირითადად **ჰიდროსადგურების** გამომუშავების 39.8%-იანი ზრდის ხარჯზე. ჰიდროგენერაციაში ასეთი დიდი ზრდა განპირობებულია წლის დაბალი ბაზით, და კარგი ჰიდროლოგიური პირობებით.

ჰესების გამომუშავების სიჭარბემ (დაგეგმილთან შედარებით 19.4%-ით მეტი) მნიშვნელოვნად შეამცირა **თბოგენერაცია** (-16.8% წ/წ) და **იმპორტი** (-38.9%წ/წ). ამასთან, თბოგენერაცია 17.8%-ით, ხოლო იმპორტი 40.6%-ით ჩამორჩებოდა დაგეგმილ მაჩვენებელს.

**იმპორტის** მოცულობამ შეადგინა 0.5 ტვტ.სთ (27.9 მლნ აშშ დოლარი), საიდანაც იმპორტის 88.6% განხორციელდა აზერბაიჯანიდან, ხოლო დანარჩენი მოცულობა შემოვიდა თურქეთიდან (6.7%) და რუსეთიდან (3.3%).

ჰიდროგენერაციის სიჭარბემ **ექსპორტის** ნაადრევად დაწყებაც გამოიწვია. ექსპორტი აპრილის მეორე ნახევრიდან დაიწყო და 61.7გვტ.სთ შეადგინა (1.8 მლნ აშშ დოლარი).

## ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი - აპრილი 2018

ელექტროენერგიის **ადგილობრივი მოხმარება** აპრილში წლიურად 5.0%-ით გაიზარდა და 1.0 ტვტ.სთ შეადგინა. მოხმარების ზრდა გამოწვეული იყო სადისტრიბუციო კომპანიების მოხმარების ზრდით (+13.8% წ/წ), რომელიც, თავის მხრივ, ახალი კომერციული აბონენტების დამატებას უკავშირდება. ჯამური მოხმარების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შეამცირა (-4.4 პროცენტული პუნქტით) აფხაზეთის რეგიონისა (-13.2% წ/წ) და კვალიფიციური საწარმოების (-14.5% წ/წ) მოხმარების შემცირებამ.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის მოხმარება, გვტ.სთ




*წყარო: ესკო*
*შენიშვნა: ენერგო-პრო ჯორჯია მოიცავს კახეთის ენერგოდისტრიბუციის 2017 წლის აგვისტომდე მოხმარებასაც*

ცხრილი 1: ელექტროენერგიის მოხმარება, აპრილი 2018

| მომხმარებელი | წლიური ზრდის ტემპი | წილი მოხმარებაში |
|---|---|---|
| **შიდა მოხმარება** | **+5.0%** | **100.0%** |
| აფხაზეთის რეგიონი | -13.2% | 15.2% |
| კვალიფიციური საწარმოები | -14.5% | 11.2% |
| სადისტრიბუციო კომპანიები | +13.8% | 73.7% |
| ენერგო-პრო ჯორჯია | +16.1% | 49.5% |
| თელასი | +9.4% | 24.2% |

წელს **ელექტროენერგიის ექსპორტი** ჩვეულებრივზე ოდნავ ადრე - აპრილის მეორე ნახევრიდან დაიწყო, რაც მოულოდნელად გაზრდილ ჰიდროგენერაციას უკავშირდება. 2018 წლის აპრილში ექსპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობამ 61.7 გვტ.სთ შეადგინა, რაც აპრილის თვეში ჯამურად მიწოდებული ელექტროენერგიის 5.7%-ია. ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი იყო ენგურჰესი, რომელმაც ჯამური ექსპორტის 59.7%

გაიტანა სომხეთის მიმართულებით. ამასთან, დანარჩენი ექსპორტი განახორციელა ესკომ რუსეთის (ჯამური ექსპორტის 38.0%) და აზერბაიჯანის (ექსპორტი 2.3%) მიმართულებით.

**ადგილობრივი გენერაცია აპრილში წლიურად 30.2%-ით გაიზარდა და 1.1 ტვტ.სთ შეადგინა, რაც 25.2%-ით მეტია დაგეგმილ დონეზე.**

**ჰიდროგენერაცია** მნიშვნელოვნად (+41.1% წ/წ) გაიზარდა 2018 წლის აპრილში: 41.1%-ით წინა წელთან შედარებით და 21.9%-ით დაგეგმილ დონესთან შედარებით.

- **ენგურ-ვარდნილის** გენერაცია წლიურად 135.4%-ით გაიზარდა, რაც კარგი ჰიდროლოგიური პირობებითა და წინა წლის დაბალი ბაზით (-13.8% წ/წ) აიხსნება. ცნობისთვის, აფხაზეთის რეგიონმა 2018 წლის აპრილში ენგურისა და ვარდნილის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მხოლოდ 35.7% მოიხმარა. შედარებისთვის, ეს წილი წინა წლის აპრილში 96.9%-ს შეადგენდა.
- გაზრდილია **სხვა რეგულირებული სადგურების** (+6.0% წ/წ) და **დერეგულირებული ჰესების** (+17.0% წ/წ) გენერაციაც, რაც გამოწვეულია კარგი ჰიდროლოგიური პირობებით და დერეგულირებული სადგურების კატეგორიაში დამატებული ახალი ჰესებით (დარიალი და ხელვაჩაური).

ცხრილი 2: ელექტროენერგიის მიწოდება, აპრილი 2018

| მიწოდება | წლიური ზრდის ტემპი | წილი ჯამურ მიწოდებაში |
|---|---|---|
| **ჯამური მიწოდება** | **+11.5%** | **100.0%** |
| იმპორტი | -92.3% | 1.0% |
| ადგილობრივი გენერაცია | +30.2% | 99.0% |
| თბოსადგურები | -58.6% | 3.3% |
| ქარის სადგურები | -0.5% | 0.9% |
| ჰესები | +41.1% | 94.8% |
| ენგური- ვარდნილი | +135.4% | 38.7% |
| სხვა რეგ. ჰესები | +6.0% | 31.3% |
| დერეგულირებული ჰესები | +17.0% | 24.8% |

*წყარო: ესკო*

გრაფიკი 4: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ




*წყარო: ესკო*

გრაფიკი 5: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ




*წყარო: ესკო*

2018 წლის აპრილში ჰესების ჭარბმა მიწოდებამ მნიშვნელოვნად შეამცირა **თბოგენერაცია** (-58.6% წ/წ) და **იმპორტი.** იმპორტი თითქმის განახევრდა (-92.3% წ/წ) და 11.2 გვტ.სთ-ს გაუტოლდა, რაც ჯამური მიწოდების ძალიან მცირე ნაწილს (1.0%) შეადგენდა. იმპორტის ძირითადი ნაწილი განხორციელდა რუსეთიდან (მთლიანის 87.3%), ხოლო დანარჩენი აზერბაიჯანიდან.

**გარანტირებული სიმძლავრის საფასური** წლიურად 7.8%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 0.73 აშშ ცენტი შეადგინა. აღნიშნული კლება გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დასათვლელად გამოყენებული ელექტროენერგიის მოხმარების რაოდენობის ზრდას უკავშირდება. გარანტირებული სიმძლავრე ხუთივე წყაროს უზრუნველყოფილი ქონდა მთელი თვის განმავლობაში, აქედან მხოლოდ გარდაბნის თბოსადგური მუშაობდა

თითქმის 10 დღე, ხოლო დანარჩენი თბოსადგურები მთელი თვის განმავლობაში სისტემისთვის რეზერვის წყაროს წარმოადგენდნენ.

## ელექტროენერგიის ფასები საქართველოში და თურქეთში

აპრილში **იმპორტის საშუალო ფასი** წლიურად 24.2%-ით გაიზარდა 4.6 აშშ ცენტიდან 5.7 აშშ ცენტამდე. ეს ძირითადად აიხსნება წინა წლის დაბალი ბაზით, რაც უკავშირდებოდა აფხაზეთის რეგიონში ელექტროენერგიის სუბსიდირებულ ფასად იმპორტს სალხინოს ელექტროგადამცემი ხაზით.

იმპორტის საშუალო ფასის ზრდის მიუხედავად, საქართველოში ელექტროენერგიის **საბალანსო ფასი** 2018 წლის აპრილში წლიურად მხოლოდ 5.0%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.0 აშშ ცენტი შეადგინა. ასეთი მცირედი ზრდა იმპორტის მოცულობის შემცირებით აიხსნება. საბალანსო ბაზარზე ჯამური მიწოდებული ელექტროენერგიის 17.7% ივაჭრებოდა, შედარებისთვის წინა წლით აპრილში ეს წილი 26.0%-ს შეადგენდა.

**თურქეთში** საშუალო საბაზრო ფასი აპრილში წლიურად 18.8%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 4.8 აშშ ცენტი შეადგინა, რაც 3.8%-ით ნაკლებია საქართველოს საბალანსო ელექტროენერგიის ფასზე.

2018 წლის აპრილის თვეში **ექსპორტის საშუალო ფასმა** კვტ.სთ-ზე 2.9 აშშ ცენტი შეადგინა. ჩვენი ვარაუდით, ექსპორტის ასეთი დაბალი საშუალო ფასი გამოწვეულია რუსეთში ექსპორტის მაღალი წილით (38.0%), რომელიც ძირითადად დაბალ ფასად ხორციელდება და აგრეთვე, ესკოს მიერ თებერვალში გაფორმებული ბარტერით.

გრაფიკი 6: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე




*წყარო: ესკო, საქსტატი, EPIAS*

## ცხრილი 3: ელექტროენერგიის ბალანსი (გვტ.სთ)

| | მაის-17 | ივნ-17 | ივლ-17 | აგვ-17 | სექ-17 | ოქტ-17 | ნოემ-17 | დეკ-17 | 2017 | იან-18 | თებ-18 | მარ-18 | აპრ-18 | 4თ18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ შიდა მოხმარება** | **856** | **870** | **985** | **1,037** | **918** | **947** | **1,032** | **1,163** | **11,856** | **1,168** | **1,059** | **1,114** | **979** | **4,320** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *1%* | *3%* | *10%* | *14%* | *16%* | *7%* | *7%* | *0%* | ***7.7%*** | *8%* | *5%* | *9%* | *5%* | ***6.7%*** |
| *მათ შორის:* | | | | | | | | | | | | | | |
| - აფხაზეთის რეგიონი | 132 | 102 | 113 | 119 | 101 | 136 | 194 | 241 | **2,002** | 247 | 216 | 207 | 149 | **820** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *8%* | *1%* | *3%* | *2%* | *-8%* | *-4%* | *-1%* | *-5%* | ***3.9%*** | *-2%* | *-7%* | *1%* | *-13%* | ***-5.0%*** |
| - კვალიფიციური საწარმოები | 95 | 131 | 136 | 138 | 122 | 121 | 107 | 102 | **1,427** | 108 | 104 | 115 | 109 | **436** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *-27%* | *6%* | *21%* | *66%* | *91%* | *62%* | *32%* | *-17%* | ***18.1%*** | *1%* | *-8%* | *-11%* | *-14%* | ***-8.5%*** |
| - სადისტრიბუციო კომპანიები | 629 | 637 | 736 | 780 | 695 | 690 | 732 | 819 | **8,427** | 812 | 738 | 792 | 721 | **3,064** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *6%* | *3%* | *9%* | *10%* | *13%* | *4%* | *6%* | *4%* | ***7.1%*** | *12%* | *11%* | *16%* | *14%* | ***13.1%*** |
| *მათ შორის:* | | | | | | | | | | | | | | |
| - ენერგო-პრო ჯორჯია | 420 | 426 | 496 | 519 | 456 | 457 | 481 | 528 | **5,493** | 521 | 476 | 521 | 485 | **2,003** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *6%* | *4%* | *11%* | *11%* | *13%* | *5%* | *10%* | *8%* | ***8.1%*** | *17%* | *16%* | *19%* | *16%* | ***17.1%*** |
| - თელასი | 209 | 211 | 240 | 261 | 239 | 233 | 251 | 292 | **2,935** | 291 | 262 | 271 | 237 | **1,061** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *7%* | *0%* | *5%* | *9%* | *12%* | *1%* | *-1%* | *-2%* | ***5.2%*** | *4%* | *2%* | *10%* | *9%* | ***6.1%*** |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ გენერაცია** | **1,093** | **1,138** | **1,247** | **1,035** | **821** | **828** | **968** | **1,080** | **11,531** | **1,014** | **934** | **997** | **1,064** | **4,009** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *2%* | *4%* | *18%* | *8%* | *3%* | *-9%* | *-3%* | *-9%* | ***-0.4%*** | *6%* | *15%* | *35%* | *30%* | ***20.6%*** |
| *მათ შორის:* | | | | | | | | | | | | | | |
| ჰიდროსადგურები | 1,085 | 1,128 | 1,234 | 944 | 706 | 583 | 658 | 682 | **9,211** | 676 | 594 | 775 | 1,019 | **3,064** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *1%* | *3%* | *16%* | *6%* | *10%* | *-11%* | *2%* | *0%* | ***-1.3%*** | *20%* | *64%* | *42%* | *41%* | ***39.8%*** |
| თბოსადგურები | 0 | 1 | 5 | 83 | 107 | 239 | 304 | 393 | **2,233** | 331 | 334 | 215 | 35 | **915** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *N/A* | *-76%* | *321%* | *31%* | *-32%* | *-6%* | *-14%* | *-21%* | ***-0.1%*** | *-14%* | *-24%* | *14%* | *-59%* | ***-16.8%*** |
| ქარის სადგურები | 8 | 9 | 7 | 8 | 7 | 7 | 5 | 6 | **88** | 7 | 6 | 7 | 9 | **30** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *N/A* | *N/A* | *N/A* | *N/A* | *N/A* | *N/A* | *1.77657* | *-19%* | ***NM*** | *10%* | *7%* | *-21%* | *0%* | ***-2.9%*** |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იმპორტი** | **2** | **0** | **1** | **73** | **133** | **157** | **110** | **135** | **1,497** | **202** | **168** | **161** | **11** | **542** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *-41%* | *-100%* | *-78%* | *597%* | *449%* | *832%* | *766%* | *302%* | ***212.6%*** | *13%* | *-33%* | *-48%* | *-92%* | ***-38.9%*** |
| **ექსპორტი** | **200** | **230** | **222** | **32** | **0** | **0** | **1** | **0** | **686** | **-** | **-** | **-** | **62** | **62** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *5%* | *9%* | *71%* | *16%* | *N/A* | *N/A* | *N/A* | *N/A* | ***22.7%*** | *N/A* | *N/A* | *N/A* | *N/A* | ***52.442*** |
| **წმინდა ექსპორტი** | **199** | **230** | **221** | **(41)** | **(133)** | **(157)** | **(109)** | **(135)** | **(811)** | **(202)** | **(168)** | **(161)** | **51** | **(480)** |
| **ტრანზიტი** | **4** | **-** | **-** | **93** | **32** | **15** | **23** | **53** | **254** | **-** | **13** | **-** | **-** | **13** |
| %-ლი ცვლილება, წ/წ | *N/A* | *N/A* | *N/A* | *-33%* | *-69%* | *-89%* | *-83%* | *-61%* | ***-70.1%*** | *N/A* | *-18%* | *N/A* | *N/A* | ***-61.3%*** |

**ენერგო-პრო ჯორჯია მოიცავს აგრეთვე კახეთის ენერგოდისტრიბუციის მონაცემებს (2017 წლის აგვისტომდე)*
*წყარო: ესკო*

# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს ბიჯეო ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**
**მისამართი:** აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
**ტელ:** + (995) 32 2401 111
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge

**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

**ანალიტიკოსი**
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

**ეკონომისტი**
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

**ანალიტიკოსი**
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge